ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 44

“2” მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

2010 წლის 11 იანვარს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ლანცეტს“ შორის გაფორმებული ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულების და მასში შესული ცვლილების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლანცეტის“ გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „დ.ვ“ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.20.171 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მერიასა და შპს „ლანცეტს“ შორის 2010 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების და მასში შესული ცვლილების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (1,950,621 აშშ დოლარი) შპს „ლანცეტის“ გათავისუფლებაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი